დანართი N1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახურის წესდება

მუხლი 1
ზოგადი დებულებები

1.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“ არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე და უზრუნველყოფს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებასთან დაკავშირებით საკითხების გადაწყვეტას, ნარჩენების მართვის ორგანიზებას ფიზიკური პირებისაგან დასუფთავების მოსაკრებლის ამოღებას, დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის შესაბამისად, კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამწვანებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

2. ა(ა)იპ „ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“-ს დამფუძნებელია ამბროლაურის მუნიციპალიტეტი (ს/კ 222938490 ქ. ამბროლაური ბრატისლავა რაჭის ქუჩა N11) . იგი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

3. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

4. სამსახურის კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება სამსახურის წესდებით, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 2
სახელწოდება, იურიდიული მისამართი და სტატუსი

1. სამსახური ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონით “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით” ამ წესდებით და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სამსახურის სრული სახელწოდებაა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“(შემდგომში - სამსახური)

3. სამსახურის იურიდიული მისამართი: **საქართველო, ქალაქი ამბროლაური აღმაშენებლის ქუჩა N24.**

4. სამსახურს გააჩნია იურიდიული პირის ყველა ატრიბუტი, ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები და სხვა.

5. სამსახურის ელექტრონული მისამართია: dasuftaveba7@gmail.com

მუხლი 3
საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მიზნები

1. სამსახურის საქმიანობის მიზანია, განახორციელოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებასთან დაკავშირებით საკითხების გადაწყვეტა, ნარჩენების მართვის ორგანიზება, ფიზიკური პირებისაგან დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება, კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამწვანების ღონისძიებების განხორციელება, გარე განათებასთან დაკავშირებული საკითხების უზრუნველყოფა.

2. სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის საკითხებზე;

ბ) ტერიტორიის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის სამუშაოთა ორგანიზებას;

გ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა–დასუფთავების ორგანიზების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების მიზნით, ჩასატარებელი ღონისძიებების ორგანიზება;

დ)ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ნარჩენების ტრანსპორტირების კოორდინირება;

ე) საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაგროვების ნორმების დადგენის ან/და მასში ცვლილებების შეტანის მიზნით, პროექტის მომზადება და მერისათვის წარდგენა;

ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება;

ზ) დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა აღრიცხვა, გადამხდელთა ბაზის ფორმირება და სრულყოფა;

თ) მოსახლეობიდან, დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების უზრუნველყოფა.

ი) გამწვანების, გარე განათების, შადრევნების, სანიაღვრე მეურნეობის სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის ხელშეწყობასა და კოორდინაციას.

კ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებების განხორციელება მწვანე ნარგავებით ტერიტორიის აღდგენის მიზნით ბუნებრივი განახლებისათვის ხელის შეწყობა, მოვლითი ჭრების განხორციელება.

ლ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა, სარეკრიაციო ზონების განვითარების ხელშეწყობა.

მ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

ნ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის დასუფთავება, მოვლა და სხვადასხავა საჭირო მომსახურების ორგანიზება.

ნ[1]) საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენასა და განხილვას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 146[1] მუხლის, 148-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილების, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევებში; ასევე ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“ 31-35-ე მუხლების, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 39-ე მუხლისა და 43-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

ო) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის ორგანოების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 4
მართვა და კონტროლი

1. სამსახურს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანმადებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი.

2.დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს, მის მიერ ბრძანებით დანიშნული თანამშრომელი.

3. სამსახურის დირექტორი:

ა) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს სამსახურის ბიუჯეტს, საშტატო განრიგს და სტრუქტურას.

ბ) თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს სამსახურის თანამშრომლებს;

გ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით უფლებამოსილია შეიძინოს და გაასხვისოს სამსახურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ძირითადი ქონება;

დ) დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ე)ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ და კვარტალურ ანგარიშს სამსახურის საქმიანობის შესახებ საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

ვ) მართავს ააიპ-ს ქონებას, სამსახურის ფინანსურ და საქმიანობას ახორციელებს სამსახურის ფინანსური რესურსებისა და ქონების მართვას. პასუხსაგებს მათ სწორად გამოყენებაზე.

ზ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ საკრებულოს მიერ რეგლამენტით დადგენილი წესის შესაბამისად.

თ) ყოველი წლის ბოლოს ადგენს ანგარიშს სამსახურის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

ი) ამტკიცებს სახელმძღვანელო ინსტრუქციებსა და სამუშაო გეგმას.

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, განსაზღვრევს სამსახურში შრომით შინაგანაწესს და ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს.

ლ)გამოსცემს ბრძანებას რომლითაც განსაზღვრავს ამ წესდების შესაბამისად სამსახურისთვის მიკუთვნებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა საქმეებზე ოქმის შემდგენელ და საქმის განმხილველ პირს.

მ) უზრუნველყოფს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი სამსახურის ელექტრონული პორტალის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მართვას.

4. სამსახურის კონტროლს ახორციელებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი შიდა აუდიტის სამსახურის მეშვეობით.

მუხლი 5
ქონება და ფინანსები

1. დასახული მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად სამსახურს გადაეცემა შესაბამისი ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სამსახურის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას მის ორგანიზაციულ განვითარებას.ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

3. სამსახურის საქმიანობის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

4. სამსახურის დაფინანსების წყაროებია:

ა) შესაბამისი ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი სუფსიდიები ;

ბ) გრანტები ;

გ) შემოწირულობები;

დ) კანონმდებლობით ნებადართული დამხმარე სახის სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

ე)კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული სხვა ქონებრივი და ფულადი სახსრები;

5. მიღებული სახსრები სამსახურმა უნდა გამოიყენოს საწესდებო მიზნების მისაღწევად;

6. სამსახური ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საბუღალტრო ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და წარუდგინოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 6
ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

1.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო **კოდექსის 38** მუხლის შესაბამისად.

3.ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

4. დამფუძნებელთა/წევრთა გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები/წევრები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

7. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა/წევრებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების

სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 7

დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წესდების დამტკიცების შესახებ ბრძანების და საკრებულოს თანხმობის შესაბამისი განკარგულების ამოქმედებიდან.

2.თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი: Zviadi Mkheidze Digitally signed by Zviadi Mkheidze Date: 2023.04.07 09:36:21 +04'00' ზვიადი მხეიძე